თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ვეფხვი, გლეხი და მელია

ტყეში, ნახევრად ჩამონგრეულ გამოქვაბულში, ერთი ვეება ვეფხვი ბინადრობდა. იგი ღამღამობით შეიპარებოდა ხოლმე ახლომახლო სოფლების ფარეხებში და საქონელს იტაცებდა. ზოგჯერ ადამიანებსაც ესხმოდა თავს.

ამ სოფლის თავადმა სასწრაფოდ შეკრიბა საუკეთესო მონადირეები და განაცხადა:

- ჯილდოდ ათას ოქროს მივცემ მას, ვინც მტაცებელს დაიჭერს ან მოკლავს.

მეორე დღისათვის ნადირობა დათქვეს. მონადირეები გარს შემოერტყნენ ტყეს და გასწიეს ვეფხვის ბუნაგისკენ.

ვეფხვმა მონადირეები შეამჩნია. ფრთხილად გამოვიდა გამოქვაბულიდან და საურმე გზას გაჰყვა. გზაზე ერთი ღარიბი გლეხი შემოეყარა. კაცი სახედარშებმულ ორთვალაზე იჯდა და ხორბლით სავსე ტომრები მიჰქონდა. გლეხსაც და სახედარსაც ფერი ეცვალათ ვეფხვის დანახვაზე. ვეფხვმა შესძახა:

- არაფერს გავნებთ, მეგობრებო, ოღონდ როგორმე გადამარჩინეთ! ბოროტი მონადირეები მოსაკლავად მომდევენ.

- კეთილი, მაგრამ ჩვენ რით უნდა გიშველოთ? - შეეკითხა შეშინებული გლეხი.

- სულ უბრალოდ! ერთი ტომარა დაცალე და მე შიგ ჩავძვრები. გზაზე მონადირეები შეგხვდებიან. უთხარი, აი იმ შორეული ჯუნგლებისკენ მირბოდა-თქო.

სხვა რა გზა ჰქონდა. შეშინებული გლეხი ისე მოიქცა, როგორც ვეფხვმა სთხოვა. ტომარა დაცალა, ვეფხვი ურემზე ახტა, მარდად ჩაძვრა ტომარაში და სული განაბა. გლეხმა ტომარას თოკით მოუკრა პირი, მერე ზედ დააჯდა და გზა განაგრძო.

LIVEWORKSHEETS

ცოტა ხნის მერე ვეფხვის კვალს ადევნებული მონადირეები მართლაც შემოხვდნენ გლეხს და ჰკითხეს:

- გზაზე ვეფხვი ხომ არ შეგხვედრია?

- როგორ არა, ერთი დიდი ვეფხვი აი იმ ჯუნგლებისკენ გარბოდა.

მონადირეებმა მადლობა გადაუხადეს და ვეფხვს დაედევნენ.

როგორც კი გლეხი ტყეს მიუახლოვდა, ტომარას თავი მოხსნა და ვეფხვი ამოუშვა. უცებ მხეცმა ვეებერთელა ხახა დააღო და გლეხს უთხრა:

- ახლა კი შენცა და შენს სახედარსაც შეგჭამთ!

გლეხმა ტირილი დაიწყო:

- ეგ როგორ იქნება?! მე შენ სიკვდილს გადაგარჩინე და სიკეთეს ამით მიხდი?!

სწორედ ამ დროს ცბიერი მელია გამოძვრა ბუჩქებიდან და იკითხა, რა ხდებაო.

თვალცრემლიანმა გლეხმა ყველაფერი უამბო. მელიამ გულდასმით მოუსმინა. შემდეგ ვეფხვს მიმართა:

- ყველაფერი სწორია, დიდო ვეფხვო! რასაკვირველია, მართალი ხართ. რაკი ვეფხვი ბრძანდებით, უსათუოდ უნდა შესანსლოთ გლეხი. მაგრამ საქმე ეგ როდია. მე რაღაც არა მჯერა და ვერც დავიჯერებ, ვითომც ამ ვიწრო ტომარაში ჩაძრომა შეგეძლოთ.

მელიას სიტყვებზე ვეფხვში თავმოყვარეობამ გაიღვიძა. ისე აღელდა, რომ სიფრთხილეც კი დაავიწყდა და იღრიალა:

- რაებსა როშავ! როგორ მიბედავ მაგის თქმას! ახლავე ჩავძვრები ტომარაში და დარწმუნდები, რომ ცდები.

თქვა თუ არა ეს, ვეფხვი სწრაფად ჩაძვრა ტომარაში. მელიამ გლეხს შესძახა:

- ტომარას მაგრად მოუკარი პირი და არ ამოუშვა ეგ უმადური! ერთი ორიოდე კომბალიც უთაქე და თავადს მიჰგვარე. ჯილდოდ ათას ოქროს მოგცემს და ბედნიერად იცხოვრებ. ოღონდაც ამის შემდეგ დაიმახსოვრე: მტერს თუ ენდობი, უბედურებას გადაეყრები!

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **რის გამო ბრძანა თავადმა ვეფხვის დაჭერა?**

ა) ვეფხვი განსაკუთრებით მონადირეებს ემტერებოდა.
ბ) ვეფხვის შიშით გლეხები ვერ მუშაობდნენ.
გ) ვეფხვი ფარეხებიდან საქონელს იტაცებდა.

2. **მონადირეებს გაუჭირდათ ვეფხვის დაჭერა, რადგან:**

ა) ის მეტად დაუნდობელი იყო.
ბ) ის საკმაოდ მოხერხებული იყო.
გ) მას განსაკუთრებული ძალა ჰქონდა.

3. **რაზე მიგვანიშნებს მეზღაპრის სიტყვები „ფერი ეცვალათ“?**

ა) პატრონსა და სახედარს გაუკვირდათ.
ბ) პატრონსა და სახედარს გაუხარდათ.
გ) პატრონსა და სახედარს შეეშინდათ.

4. **როგორ გადაურჩა ვეფხვი მონადირეებს?**

ა) გლეხმა მონადირეები ცრუ კვალზე დააყენა.
ბ) ვეფხვი მონადირეებს ტყეში დაემალა.
გ) მონადირეებმა ვეფხვს ტყვია ააცილეს.

5. **რატომ არ უთხრა გლეხმა მონადირეებს სიმართლე?**

ა) ვეფხვის გამოცდა სურდა.
ბ) ვეფხვის რისხვის შეეშინდა.
გ) ვეფხვი ძალიან შეეცოდა.

LIVEWORKSHEETS

6. როგორ გადაუხადა სამაგიერო ვეფხვმა გლეხს დახმარებისთვის?

ა) ტომარა წააღებინა.
ბ) შეჭმა დაუპირა.
გ) ჯილდოს დაჰპირდა.

7. მელიის აზრით, ვეფხვი არის:

ა) ბოროტი. ბ) უმადური. გ) უსამართლო.

8. როგორ გადაარჩინა მელიამ გლეხი?

ა) გლეხი და სახედარი ტყეში დამალა.
ბ) ვეფხვი ისევ ტომარაში შეიტყუა.
გ) ვეფხვს მონადირეებით დაემუქრა.

9. ვეფხვი „ისე აღელდა, რომ სიფრთხილეც კი დაავიწყდა და იღრიალა". რამ დაავიწყა მას სიფრთხილე?

ა) გლეხის დაჩაგვრის სურვილმა.
ბ) დადევნებული მონადირეების დანახვამ.
გ) საკუთარმა პატივმოყვარეობამ.

10. რას ნიშნავს გამოთქმა <u>სული განაბა?</u>

ა) აღელდა. ბ) გაიტრუნა. გ) შეშინდა.

11. მელიამ ადამიანს ურჩია, რომ:

ა) მტერს არასოდეს არ უნდა ენდოს.
ბ) მტრის არასოდეს არ უნდა შეეშინდეს.
გ) მტრისგან თავი ეშმაკობით უნდა იხსნას.

12. რას გვასწავლის ზღაპარი?

ა) საშიშ მტერს ყოველთვის უნდა მოერიდო.
ბ) სიკეთეს უმადურობით არ უნდა უპასუხო.
გ) შიშის დაძლევა ეშმაკობით უნდა შეძლო.

LIVEWORKSHEETS